ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №146394

ნომერი: AR145089

თარიღი : 30.04.2012

გაცემის თარიღი : 02.05.2012

გაცნობის თარიღი : 02.05.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაია , N 14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე შავიშვილი პ/ნ 01013002960
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კირილი მორჩილაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კონსტანტინე შავიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013002960

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 6/508-1

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.05.2007

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა განცხადება და თანდართული საპროექტო დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ სამსახური, ამ ეტაპზე, თქვენს მოთხოვნას, საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამო, ვერ დააკმაყოფილებს. გაცნობებთ, რომ წინამდებარე განცხადება არ არის სწორად დარეგისტრირებული: მოთხოვნილია მშენებლობის ნებართვის გაგრძელება, მაგრამ სამსახურის პასუხის (# 119708) თანახმად საჭირო იყო კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (მათ შორის: კონსტრუქციული ნაწილი, მშენებლობის ორგანიზების პროექტი, დამკვეთის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი) წარმოდგენა შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის გასაცემად, რადგან წინა ეტაპზე განხორციელდა მხოლოდ ესკიზის წინასწარი შეთანხმება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური განმეორებით განიხილავს საკითხს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.